

№ 9 ყოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი 9 №

წლიური ხალის მომხმარებელი:

პირველ ზრეძიანთ მიეცემათ: სტუპნიაკის მოთხრობა „სახლი ვოლგის ნაპირზე“. მეორე ზრეძიანთ: ირეთელის ახალი ოთხ-მოქმედებიანი ჰიესა „სიცილი“. პირველი წიგნი დაურიგდებათ თებერვლის დამღევს. მეორე—აგვისტოს პირველ რიცხვებში, ვინც თებერვლის გასვლაზე სრულად შემოიტანს მთელი წლის ფულს ორივე წიგნს მიიღებს.

შინაარსი: ნ. ზამლოთელი—ლეკ. ჩემო პატარავ. დ. ელპიტაშვილი—დამსხვრეული ოცნება. კ. გოგოლაძე—ლეკ. ჩემო ყვავილო. ს. პართენაშვილი—მოთხ. სანდრო. რ. ლეჩხუმელი—ლეკ. \* \* \*. (ნადსონიდან) ბ. გელა—ლეკ. \* \* \*. თამარ ნაცვლიშვილი—დრამა. მალაროს მუშა (თარგ. გერმანულიდან) ბ. პელაშვილი—ლეკ. ვედრება. შვარცა—ჰენრიხ იბსენი. დემონი—ლეკ. \* \* \*. —ი. რუსულ ახალ მწერლობის ისტორია (კოგანისა)



საუბრაობესოდ მოწუობილი

სტამბა „გეგლპითი საქმე“ ბ. კილაძისა თბილისში

ველიამინოვის ქ., № 6

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს სუფთად და იაფად.



ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახლი სხივი“

მიიღება ხელას მოწერა 1910 წლისათვის

გამოდის ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისმეორე დღეებისა. გაზეთი ღირს: როგორც თფილისში ისე თფილის გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან. ქალაქ გარეთ: 3 თვით—2 მან. 50 კ. 1 თვით—90 კ. თფილისში: 3 თვით—2 მან. 20 კ. 1 თვით—80 კაპ.

ფული შემდეგი აღრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ Типографія „Шрома.. Кали-страту Константиновичу Цуладзе.

# სსივი

შ ი ნ ა რ ს ი:



№ 9

ნ. ზომლეთელი—ლექ. ჩემო პატარავ. დ. ელპი-ტიშვილი—მთხ. დამსხვრეული ოცნება. კ. გოგოლაძე—ლექ. ჩემი უვალი. ს. პართენაშვილი—მთხ. სანდრო. რ. ლეჩხუმელი—ლექ. \* \* \*. (ნა-დსანიდან) ბ. გელა—ლექ. \* \* \*. თამრო ნაცლი-შვილი—დრამა. შაღაროს მუშა (თარგ. გერმანულიდან) ბ. პელაშვილი—ლექ. ვედრება. შვარცი—ჰენრის აბსენი. დემონი—ლექ. \* \* \*. —ი. რუსულ ასად შწერლობის ისტორიის (კოგნისა).

კვირა, 7 თებერვალი ურაველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი 1910 წ.

## ჩ ე მ ო პ ა ტ ა რ ა ვ !

ჩემო, პატარავ,  
ცელქო, ანკარავ,  
ბროლზე, აღმასზე უსპეტაკესო;  
ფაქიზო ვარდო,  
შენ ჩემო დარდო,  
გულის სახმილო, სიცოცხლის კვესო!  
ფრთები გაშალე,  
შოიფართქალე,  
როცა ბრძოლის დროს ამოვიკვნესო,  
ნუგეში მამე  
გამათამამე:—

ეკალი ვკაფო, იები ვთესო.\*  
და იებს ვთესავ...  
მე მათით, ვესავ...  
ბაღს გაგიშადებ მუნ საარაკოს,  
რომ იმის გულად  
ცელქ ნაკადულად  
თვით სიყვარულმა სულ ირაკრაკოს,  
მზიან დღის შვილმა,  
ეშხით აღესილმა,  
სულ შენ გიმღეროს და ხმებით გამკოს,  
რომ ირგვლივ არემ,  
დღეს—ვით სამარემ,  
იველზურმუხტოს, იმწვანჭალაკოს!..  
ჩემო პატარავ  
ჩემო ანკარავ,  
შენზე ლოცულობს არსი ყოველი!  
შენ თვითონ მზე ხარ,  
შენ მუდამ ზე-ხარ!

ძირს არ ეშვები, როგორც ცხოველი,  
თვით სიხარულის,  
ნახ სიყვარულის  
შენ კვარცხლზე კი ხარ, სვეტი ცხოველი  
და მო ერთგულო,  
სათაიგულო  
მომიტა ვარდნი!.. მე მათ მოველი...

ნ. ზომლეთელი.

## დამსხვრეული ოცნება

(დასასრული)

საამური ღამე იყო, პირბადრი მთვარე, რომ-ლის გარშემო აღარებელი მოაშვიკე—მიჯნური ვარსკვლავები, მთვარისადმი ტრფობით გატაცებული ხან მიიმალეზოდენ და ხან ისევ გამოიციმციმებ-დენ,— მიძინებულ არე-მარეს თავს დაჰქათათებდა, მელდურათ დაჰყურებდა მიწის შვილთ.  
არსიდან არავითარი ხმაურობა არ ისმოდა. თითქოს ყველაფერ რაღაც ჯადოსნურ ძალას შეგ-ბოქა. მარა, აბა მთის ლალ მდინარეს ვინ გადაე-ლობებოდა წინ: იგი მოშხუოდა, მოჰქროდა და თითქოს ძილის პირს, ნანას უმღეროდა მაშვრალ-თა სამყაროს.  
სოფლის ახლო, რკინის გზის სადგურზე, თო-ფით მხარზე, დარაჯი ჯარის კაცი დადიოდა და ნალით დაქედლილ ჩექმების ბრახუნი ყრუთ გაის-მოდა მიდუმებულ არეში. დრო გამოშვებით ნამ-ძინარევი, რკინის გზის მოსამსახურე, გამოჩნდებო-და და სადგურის ზარს ჩამოკრავდა რითაც მვის-



რეებს ამცნევდა მეორე სადგურრიდან მატარებლის გამოსვლას.

ლამის ორი საათი იქნებოდა, დარაჯმა ზარს ს.მჯერ ჩამოჰკრა. არ გასულა დიდი ხანი, რომ შორიდან მოისმა მატარებლის სტვენა. ამ ხმაურობამ დაარღვია მყუდროება, შეარყია მთა და ბარი, დააფრთხო ხის ტოტზედ მიჭუჭული მთვლემარე ჩიტუნები, აყიდდნ დაღობები, მამალმა მამალს გადას-  
დახა და თითქოს გაიღვიძა გამოცოცხლდა დროებით მკვდარი სოფელი. ერთხელ კიდევ სტვენა უფრო ახლოს მოისმა და ქშენით და რახრახით მატარებელი სადგურზე მოსრიადდა. ჩემოდანით ხელში ვაგონიდან ნუცა გადმოვიდა და გაეშურა იქვე ახლოს სახლისაკენ.

გლების ოჯახობას, დიმიტრეს, მეუღლე მისს ეფროსინეს და პატარა მწლის კოლიას ტკბილათ ეძინათ, როცა კარები დააკაკუნეს. დიმიტრის გამოღვიძა და შეეკითხა: ვინ ხარ! — როცა შეიღის მოსვლა გაიგო, გოცებულმა გააღო ბზის ჯოხით შიგნიდან გადარაზული კარი და მოეხვია ერთი წლის უნახავ შვილს. ეფროსინე და კოლიაც წამოხტნენ ლოგინიდან, ჩაჰკოცნეს ნუცა, ჩაიკრეს გულში და ასე საერთო მოულოდნელი სიხარული შვა ლამისას ეწვია გლების ქონს... კითხვებს კითხვებზე აძლეოდნ ერთმანეთს, გამოჰკითხა მშობლებმა — იქაურობის ამბავი, შეიღმა — აქაურის, ... — ჩემოდანს ხელი არ ახლოთო — დაიმოწმა ნუცამ და გრეთ გამოვიდა — ცოტა ხანში მოვალო. მშობლები ცოტა არ იყოს გაოცდნ, გაკვირდნ, ვერც ერთმა ვერ მოასწრო ეკითხა და გაეგო, თუ სად ან რისთვის წავიდა ნუცა არეულ დროით, მაგრამ ნუცა შორს არსად წასულა; ინახულა ასის თავი, ასის თავმა ათის თავებს შეატყობინა იმ წამსვე, რომ ხვალ სადგურთან მინდორზე მიტინგი უნდა გამართულიყო და ხალხი მოეწვია... ნუცა მალე ისევ მობრუნდა, დაწვა, მაგრამ ჯერ ერთი რომ ძილი არ ეკარებოდა, მეორეც უკვე ალიონი მოახლოვდა და კიდევ გათენდა. მშვენიერი დღე დადგა. სოფლებლები: ქალი და კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა ორ-ორი, სამ-სამი მიდიოდნ დამნიშნულ ალაგას ახალი ამბების მოსასმენათ, ახალი ცხოვრების საგემოთ და საყურებლათ, ოღონდაც ახალი ცხოვრების! სამი ათასზე მეტი ქალი და კაცი ერთათ შეგროვილი, მუშა — სალდათი, ერი-ბერი-თავადი-აზნაური აფიცრებში არეული, ხის ნამორი ტრიბუნის მაგიერ....

ხალხი ჯერ ჯკუფ-ჯგუფათ მუსაიფობენ, როცა გამოჩნდა ნუცა ჩემოდანით ხელში ყველას ყურადღება მისკენ მიიქცა.

— რაცხა კი მოგვიტანა დიმიტრას გოგომ! — თქვა ერთმა.

— გოგო კი არა, მაი ნამდვილი ცოციალის-ტკა ქალია, ცოციალისტკა! პარკლამაციას ჩამოგვიტანდა... ასე ლაპარობდენ, რომ ნუცა ხალხში შეერია, თავი დაუკრა ყველას. ჩამადანი დასდო ხის ნამორზე, გახსნა და ყველას დაურიგა ფურცლები, რუსულ-ქართულ ენაზე დაბეჭდილი, რომელშიაც კომიტეტი აუწყებდა ამხანაგ-მოქალაქეთ, მშრომელ ხალხს „12“-დან საერთო პოლიტიკურ გაფიცვის დაწყებას... კითხულობდა ყველა, ვინც კითხვა კი იცოდა: სალდათი და გლები, აფიცერი და მღვდელ-აზნაური, ქალი და ბავშვი, ბოქაული სტრაჟნიკი და რომ შეგებნდათ, ასში ერთს თუ შეამჩნევდით, რომლის სახეზე სიამოვნება არ გამოხატულიყო. . ფურცლების დარიგებაში ერთი საათი გავიდა, შემდეგ ნუცა შედგა ნამორზე, და გრძობით საესე სიტყვით მიმართა ხალხს. აღფრთოვანებულმა ხალხმა ერთხმათ დაიგუგუნა. ასე გაგრძელდა კარგა ხანს. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ქონდა, ბოლოს სიმღერით და სიცილ-კისკისით დაიშალენ და თავიანთ სახლებში წავიდნ. გაფიცვა სოფლებშიაც დაიწყო.

\* \* \*

სიტკბოება-ნეტარება, ალერსი და აღტაცება ერთმანეთს გადაეკონა. სალდაც გაქრა ბორბობა, შური, მტრობა, მათ ალაგას სიყვარული სათნოება და ადამიანობა დამყარდა ნანატრი სინამდვილეთ გადაიქცა...

მარა, რატომ არ გვასვენებს მატარებელი? როგორ წივის: რა სინათლეა ადგილ-ადგილ, რომ მოსჩანს? რატომ რეკენ ზარებს; სად არის ის სროლა?...

ოჰ, მტანჯველო, საზარელო წყვედილო ღამეგ!... ..შენ-თანც მოვალ, შენ თანც მოვალ!... ფუჰ, ფუჰ, ფუჰ, ფუჰ! ჰო, ჰო, ჰო, ჰო... — მოლოდილობდა ქალაქიდან მატარებელი და სადგურში შემოსვლისათანავე აუარებული ჩოხიან-მუნდირიან ხმლიან — თოფ — ზარბაზნებ ჩინებიანი ხალხი, გაყვიოლებულ სახეებით, გაელვარებულ თვალებით ვაგონებიდამ გადპოტანილ არაყს დაეწაფა. ამათ სადგურზე მდგომი კაპიტან-ოფიცრები შეუერტდა და გაჩაღდა ქელები...

სოფლებლები არ მოსჩანან. ალბათ ტკბილი ცხოვრებით ნეტარებას ეძლევიან თავ-თავის ოჯახებში... ღამე, წყეული ღამეა, შეყვარებულთა სანეტარო, ქურდავაზაკთა ხელ-საყრელი დრო. მა-



გრამ სიბნელოე უცებ გაიფანტა, განათლდა; სოფელი ატაკუნდა, ახმაურდა, აყვირდა, აწითლდა და... ცეცხლის აღში გაეხვია მიდამო....

დიმიტრეს ქონსაც ცეცხლის ალი გრძნობით გულში იხუტებდა და თითქოს გაგიჟებით კოცნისო „მპა, მპა, ტაკ“ გაჰქონდა.

ეფროსინე ავით გახდა და ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა. დიმიტრე, როცა მისი ქოხი იწოდა, დაღვრემილი უტკეროდა—სახლი გეწოდეს, ხელი გაითბეო—აქნევდა თავს, სოფელში ხელმეორეთ აშენებულ ღუბნების წინ დაწანწალობდა და მათხოვრობდა. მას ლუკმა პურს აწვდიდენ, იგი კუთუზე შესცდა.

კოლია საიდლანაჯ სალაქში გაჩნდა, იქ ამხანაგები იშოვა და ჯიბგრობაზე დაქერილი, პოლიციის ნაწილში იჯდა. ჩვენი ნუცა? სადღაა? იგი დიდხანს იმალებოდა ტყე-ღრეში ხან ერთისას, ხან მეორესას, ბევრი სახლშიც არ უშვებდა შიშით.

შემდეგ ერთი მოსახლისას მოამწყვდიეს. მოსახლე გადასწვეს, პატრონი გადასახლეს და თითონ ნუცა კი თავპირ დასისხლიანებული, უილაჯო, გონება მიხდილი, ტან-თვალე და ნაღველებული და სიებული ეგდო სადგურზე მდგომ როტის უფროსის ოფიცრის ოთახში ლოგინზე.

ის ხანდისხან შეინძროდა დაიკვნესებდა დასიხლიანებულ თვალეებს გაახელდა და მიკნავებული ხმით ამოიკვნესებდა:

— დედილო... მიშველე!.. მამილო გიკვლები,... ხან კი თოვ ნაკრავსავით წამოიქრებოდა და იწივლებდა: —... ადამიანებო! ამხანაგებო!.. მიშველე... სირცხვილოო!... მარა ისევ ლოგინზე დავარდებოდა და... ეალერსებოდენ; —ნუ, გენაცვალე, დროგაია ამხანაგო! დაცინვით ეუბნებოდა აფიცერი და ნუცას ჯერ კიდევ ცოცხალ გულს სჩხვლეტდა და ყურში ეწვეთებოდა საზიზღროების ნექტარ — ბალღამი.

\* \*

ტყვე ქალი ნუცა, მართლ-მსაჯულების მიერ გასამართლებული, ფეხებში ბორკილ გაყრილი ჩიხნი ციხეში ზის და მხნეთ გამოიყურება!..

დ. ელპიტიშვილი.

# ჩ ე მ ი ე ვ ა ვ ი ლ ი .

( ვუძღვნი №—ს )

მახსოვს, ნორჩ გულში სიყვარულის ცეცხლი ღვიოდა, ვეცელქებოდი შვების მომფენს სამოთხის ნიაფს; ბრწყინავ თვალთაგან ნეტარების ცრემლი მდიოდა, ხარბათა ვკრეფდი ტრფობის ბაღში ვარდსა და იას... კენესა გულისა ჩანგის სიმებს არ მემჩნეოდა, კილო შვებისა იქარგოდა იმის ჰანგებში, და სიხარულის ნამი სევდას არ იკარებდა, დასრიალებდა სიყვარულის ზღვისა ტალღებში. გვერდს მედგა მტკიცე მეგობარი ნათლის შუქათა,

ჩემი იმედი, სასოება, სწორი სულისა, მესაიდუმლოე აღტაცებულ ჩემ გულის თქმათა, მოწმე ჩემ წრფელის, უანგარო სიყვარულისა... ოხ!... რა ტურფადა იფურჩქნოდა ჩემი ყვავილი,

ასე მეგონა—ზამთრის სუსხი ვერ მისწვდებოდა, ვინ იფიქრებდა—მომხვდებოდა გულში სახმილი; ვინ მოელოდა—თუ მე იგი მომიკვდებოდა!... განვლო წუთიერ ნეტარების აღმაფრენამა, შავი სუდარა, გადაეკრა მოწმენდილ ცაზე, კენესა-გოდებით ცრემლის ფრქვევით დაჰბერა ქარმა, და ჩამოსთოვა ჩემ იმედის, ჩემ ტრფობის მთაზე!... მომტაცეს იგი, ვის შშვენებით ხარობდა გული,

ჩემი ოცნება სათაყვანო დამესამარა, სიცილ—ხარხარით ჩამომძახის ბოროტი სული: \* შენი ყვავილი, —შენი ტურფა—აღარ გყავს, არა! “.. მას აქეთია გლოვობს იმას ჩანგის სიმები, სულის ობლობა ჩაინასკვა იმის ტკბილ ხმებში, შუბლს აღებეჭდა გულის მკვლელი მწარე ფიქრები და ჩემი ნავი დაჰქრის ახლა სევდის მორევში... ყვავილოვანი ბალის ნაცვლად ველს ვჭვრეტ სიავის,

ჩაგუბდა მკერდში ბოდმა მწვავე, შხამი—ნაღველი, ხმა ბოროტი კი არ მასვენებს, თავზე დამჩხავის: „უკვე დაინგრა შენი ტრფობის საკურთხეველი!“

კ. გოგოლაძე,



# ს ა ნ დ რ ო .

(მოთხრობა.)

## I.

შუა ღამე გადასული იყო, სავსე ბადრი მთვარე დასავლეთისაკენ დახრილიყო და ბუნებით შემკულ ცხინვალის ხეობას მხიარულადაც დაჰკაშკაშებდა. შორს ჩრდილოეთით ცის ტატნოებზე ამაყათ ამართულიყვენ მთვარის ვერცხლის ფერ სხივებით შემოსილი უსწორ-მასწორაო მალლა შეტყარცნილი და შავი ტყით შებურვილი მთები, რომლებიც მალალი, თეთრი წვერები თვალ-წარმტაცათ და გონების მომხიბლველათ ბრწყინავდენ.

თიბათვის დამდეგი იყო, მწვანე ხავერდის ქათობით შემოსილი და ათასფრათ აყვავებული ბუნება კეკლუცობდა, ცხინვალის არემარე, ზევით მთები და ხევ-ხუვები რალაც გამოურკვეველს იღუმალლებას და სამარისებურ სიჩუმეს მოეცვა. დედა-ბუნების მადლიან კალთაში გახვეულ: ყველა ცოცხალ არსებათ დედის ფართე და უზე მკერდზე გულთანაო ჩასძინებოდათ. პაერი არ ირხეოდა; მინდორი, ტყე და ველი გაყუჩებულიყო, განაბულიყო; ყველაფერს იღუმალების ჩუმი ზეწარი გადაჰკროდა.


მკვდარ სიჩუმეს მხოლოდ გიჟი ლიახვი არღვევდა, რომელიც ღრმა ხევით გაპოძილ მთებს შუა შეუპოვრათ მოშხილვებდა და მძინარე ტყეს, მიდამოებს და მიჭრებულ კლდე-ღრეებს ერთ ხმაზე გაბმულ თავისებურ ნანას უმღეროდა; ის მთვარის ნახ სხივებზე ცელქათ მოკამკამე, ვიწრო კალაპოტში კლდეებით ჩამწყდელს წმინდა წყალს მკვირცხლათ ნოათამაშებდა და ჩახერგილ დიდ ქვებზე აქაფებულ ზვირთებს ზვირთებზე გაშმაგებით და ღრიალით თავ-დაღმა მიერეკებოდა. ის ბუმბერაზ მთებს და გარინდულ ტყეს თითქოს რალაც დაუსრულებელ მოხრობას უამბობდა. ღრო-გამოშვებით ცელქი ნიაჯი საღდაც გაისისინებდა, ტყეს გაურბენდა, გაჰკრავდა—გააყლამუნებდა და საღდაც ყრუ ღრანტე ხევ-ხუვში ჩაიკარგებოდა. ამ ღროს მძინარე ტყე, თითქოს სიოს სისინთან ერთათ ლიახვის ნაამბობმა შეაშფოთა და ააღელვავა, ერთ ხანს შეირხეოდა, ამრიალდებოდა, ახმაურდებოდა, ალაპარაკდებოდა და მოამბეს აპით რალაცა გაჯავრებული გამოეპასუხებოდა.

ლიახვის მარჯვენე ამპარტავნულათ აყუდებულ იყო ერთი კლდიანი მთა, რომელიც ცხინვალის მთელ ხეობას და მის ველ-მინდვრებს ზევადან ხელის-გულსავით დაჰყურებდა. ამ მთის ერთ მალალ ფერდობზე პატარა ველი იყო დაცემული, სადაც ბევრი, ხავს მოდებული მუხები მედიდურათ ამართულიყვენ. ველს ჩრდილოეთით უზარ-მაზარი სალი კლდე აჰკროდა, აჰყუდებოდა, რომელიც მთის გვირგვინს ემგვზასებოდა; დასავლეთით და სამხრეთით მას უღრანი და ხშირი ტყე ეკრა; აღმოსავლეთით პირდაღებული, მიხვეულ-მოხვეული და ჩაბნელებული ხევი ედო, საიდანაც, როგორც ქვესკნელიდან, ლიახვის გიჟმაჟი ხმაურობა ძლივს ამოისმოდა.

აი აქ ამ პატარა ველის გულზე, რომელიც ბუნებრივ მიუვალ სიმაგრეს წარმოადგენდა, ერთი დიდი, ამაყათ და შეუპოვრათ ამართული მუხა იდგა, რომელსაც ფართეთ გაშლილი ტოტები ძირს მწვანეზე დაფენია. მუხის ძირში ცეცხლი იყო გაჩაღებული; ცეცხლის ალი ჩარდახსავით გადახურულ მუხის ტოტებს და მის გარშემო შემომსხდარ სამ უცნობს რალაც იღუმალათ დასტორტმანებდა, დასთამაშებდა და მით რალაც მომხიბლავ სურათს ბადებდა. უცნობებს გვერდზე ნაბდები წაშოვედოთ; სამთავეს შავი, მალალი ფაფახები ამშვენებდათ. მუხაზე სამი ბერდენკა იყო მიყუდებული, რომლებიც ტუჩებზე ტყვიებით გაჭედილი პატრონტაშები ეკიდა; ცეცხლის ბუჩქზე მუხის ძირას ოდნავ მოჩანდა დანახევრებული დიდი ქრელი ხურჯინი.

— ეჰ, რეაქციამ გაიმარჯვა, ჩარხი უკულმა დატრიალდა ამხანაგებო, გულ-დაწყვეტით, ნაღვლელიანათ ამოიგმინა ერთმა მათგანმა და მარჯვენა ხელით გძელი ბურძგლიანი ფაფახი უკან კეფაზე გაჯავრებული გადიგდო, თითქოს ამით მაზე ჯავრის ამოყრა უნდაო. ის იყო კოხტა შავ-წვერ-ულვაშა, პირ-რგვალი, შავგრემან-ეშხიანი და სანდომიანი სახის პატრონი, რომელსაც ცეცხლის მფრქვევი, აღგზნებული შავი თვალები და არწივისებური, კეხიანი ცხვირი ვაეკაცურ და გაბედულ გამომეტყველებას აძლევდენ; მისი განიერი მხარ-ბეჭი, წინ ამაყად და მოხდენილად გამოწეული გულ-მკერდი და საშუალო ჯმუხი აგებულობა მის შეუღარებელ მამაკობას მოწმობდენ.

— ფიქრი ნუ გაქ, გულს ნუ გაატყებ, ამხანაგო სანდრო; რა ვუყოთ, რომ ასეთი შავბნელო დღეები დადგა, განა ამან გული უნდა გაგვიტყოს, გაეპასუხა მეორე, რომლის ქერა თხელ წვერულვაშით შემოსილ, გამხდარ გრძელ პირისახეზე, მოცი-



ნარცის ფერ თვალგებზე და ღია ახალგაზღვრულ შუბლზე ბავშური ალტაცება და იმედი კრთოდა. მისი მალალი, წვრილი და მოქნილი ტანი მჭკრემტყველურათ ამტკიცებდა პატრონის სიმარდეს და სიკვიტეს.

— ხალხი გატყდა, ჩემო მიხა; დანდობა აღარ არის, ჩაერია ლაპარაკში მესამე, შედარებით უფრო ახალ-გაზრდა, თამამათ ტან-აყრილი და ლამაზ პირისხაზე ახლათ შავ-წვერ-უღვაშ აბიზინებული ამხანაგი.

— საქმეს მაინც არა უსავს-რა, ცემო ვანო; გულს ნუ გაიტეხ, იმედიანათ და მხნეთ მიუგო მას ოსმა ამხანაგმა.

— ქვეყანას აწიოკებენ, ყველგან საშინელი უბედურება და ვაი-ვაგლახი ტრიალებს... გული მიკვდება...

— ეჰ, თავი დავანებოთ, რაც მოხდა მოხდა შუბლშექმუხვნით და ხელის ჩაქნევით გააწყვეტინა მას სანდრომ, რომელსაც ამ მოგონებამ გულში ბოღმა აუდუღა; მას თვალგებიდან წინწყლოები გადმოცვივდა. — ყველამ ვიცით, რაც არის, ან რაც მოხდა; ჩვენ ის ვიფიქროთ, თუ რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ, როგორ მოვიქცეთ. გააფთრებული და გვეძებენ; მოულოდნელათ ორ ცეცხლშუა მოვექცით; ჩვენი ასე ყოფნა შეუძლებელია, ჩვენ აქ აღარ გვედგომება...

— ცემის აზრით, სანდრო, — ცვენც უნდა იარაღი ავიყაროთ; მეტი ხანი არა გვაქ, სენი წირი-მე; როგორც იყვეს უნდა მოვახერხოთ და ისევ ქალაქს სევაფაროთ თავი, თორემ თუ აქ დაგვიწირეს, ნახეთ ცვენი თამასა — სთქვა მიხამ და თავის ცისფერი თვალგები სანდროს დააშტერა, თითქოს, სანამ ის იტყოდეს, მისი აზრს წაკითხვა უნდაო.

— მეც მაგ აზრისა ვარ, ამხანაგო; ჩვენ სხვა გასაკალი გზა არა გვაქვს, ცოტა ფიქრის და ყოყმანის შემდეგ წარმოასაქვა სანდრომ.

ჯერი ვანოზე მიდგა, რომელსაც ამხანაგები თვალგებით უსიტყვოთ ეკითხებოდენ, შენ რაღას იტყვიო.

— მე ცოცხალის თავით იარაღს არ გაუშვებ ხელიდან და არც სხვაგან წავალ სადმე. აბა, სად უნდა წავიდე?! თუ დამიჭირეს, ცოცხალს არ გამოშვებენ, მე რე როგორ არიან ჩემზე ალესილები!.. სთქვა ვანომ.

— განა ცვენ კი სუბლში გვაკოცებენ, ამხანაგო? ცვენთან ყაბული არა გვაქვს?! სადაც ჩვენ ვიყოთ, შენც იქ იყავი, ამხანაგებთან თავი არ გი-

დევეს!?! ზედი-ზედ მიაყარა გაფიცებულმა მასმანთაძე — სხვაგან შიმშილიდ სიკვდილს, აქ მიჩრეენია ვიყო; თუ დამიჭერენ, ჯანაბას ჩემი თავი, რაც მომივა, მომივა. დაყინებით ამბობდა ვანო.

— მას, სენ არ გინდა ამხანაგობას დაემორცილო, იარაღი აიყარო?!... მკვახეთ უკიჟინა მას ფიცხმა ოსმა და გამომძღელი თვალგები იქნეულათ დააცეცა.

— მე არ შემძლია, ვერსად ვერ წავალ; აქედან ფეხს არ მოვიცვლი და არც იარაღს მოვიშორებ, კვლავ დაადასტურა ვანომ თავისი მტკიცე გადაწყვეტილება.

სანდრომ და მიხამ შუბლი შეიკრეს; ვანოს ასეთი გაჯიუტება მათ არ ესიამოვნათ.

— ხომ ხედავ, ვანო, — ამხანაგურის სიყვარულით და დარიგება — ჩვეის კილოთი დაიწყო სანდრომ, — ხომ ხედავ, როგორ გამგელებულები დაგვეძებენ; ჩვენის გულისათვის სოფლებს აწიოკებენ, ეკვლევიტებს აყენებენ. ჩვენ თუ ხალხის კეთილი გვინდა, იარაღი უნდა ავიხსნათ და გავეცალნეთ. ქვეყანა დიღია, ჩვენ თავსაც გადავარჩინთ და ხალხსაც, გაქვირებისგან ვინხნით. ხომ იცი მეც როგორ შეძნელება აქაურობის თავის დანებება, მაგრამ რა ვქნა, სხვა გზა არ არის...

— ვიცი, მაგრამ არ შემძლია; როგორც გინდა იფიქრეთ; მე აქედგან ფეხს ვერ მოვიცვლი, კვლავ თავისას იმეორებდა ვანო.

— თავი დაანებე, სანდრო; ხომ ხედავ არ უნდა, ცოტა გაჯავრებულის კილოთი გააწყვეტინა მიხამ და შემდეგ ვანოს მიუბრუნდა, — სენი ნებაა, სენი წირიმე, როგორც გინდა, ისე მოიქეცი; მხოლოთ ბოლოს არ იხანო; იცოდე, რაც მოუვა დავითას, ყველა თუ არა, ბევრი მაინც თავის თავითა.

სიჩუმე ჩამოვარდა; ყველა ფიქრებმა წაიღო. სანდროს შუბლს ჩვეულებრივით სევდის ღრუბელი გადევრა; ის თავ-ჩაღუნული, წარბებ-ქეფმუხნილი, ცალ მუხლზე ხელ დაყრდნობილი უძრავათ იჯდა და ძირს მწვანე ბალახს ჩასცქეროდა, რომელსაც ცეცხლის ალი ცელქათ დასთამაშებდა.

ხანმა გაიარა; მიხას და ვანოს თვალზე რული მოეკიდათ, ისინი მუხის ძირას ცალკ-ცალკე ნაბადში შეხვეულები მიწვენ, მიწიდან ნახევრათ ზევით ამოსულ მის დიდ ფესვებზე თავები მიდეს და ჩქარა გულიანი ხვრინვა ამოუშვებს.

სანდროს ოცნება კი ამ დროს ხუთი-ექვსი ვერსის მანძილზე ძირს მთის კალთაზე გაშენებულ პატარა სოფლის ერთ ღარიბ ხის შენობას დასტრიალებ-

და; ამ უძვირფასეს და საყვარელ სახლში იყო მისი ღვთაება, მისი სიცოცხლე, მისი ღიზა, რომელიც სანდროს აღზნებულ სიყვარულზე თავ-დავიწყებულ სიყვარულითვე პასუხს აძლევდა...

აი ახლაც, სანდროს თვალ წინ ედგა მისი ცოცხალი ხატება, რომელიც მძლავრათ ატოკებდა, აჩქეფებდა და ტკბილათ აღელვებდა მის ახალგაზდა გულს.

სატრფოს სიყვარული, თუ ხალხისადმი მოვლევობა; ღიზა, თუ ხალხი, ერთი თუ მეორე... მაგრამ არა, ერთიც და მეორეც, რადგანაც მათი ერთი მეორის უარის ყოფა სანდროსათვის შეუძლებელი იყო; ღიზასაც ხომ მაზე ნაკლებ არ უყვარდა ხალხი; უკეთ რომ ვსთქვათ, მას უფრო იმისთვის უყვარდა სანდრო, რომ ის სახალხო საქმისთვის თავდადებული იყო. მაგრამ როგორ, რა ნაირათ მოეწყოს საქმე; როგორ, რანაირათ იცხოვრონ. აი ის მწვავე საკითხები, რომლებიც სანდროს გონებას სწიწნიდენ და მოსვენებას არ აძლევდენ. სანდრო თავს ვერ ახწევდა კითხვების ამ ხლართს, მაგრამ მაინც იმედიანათ გაიციქობოდა მომავლისაკენ.

სანდრო ოცნებიდან გამოერკვა; მან შუბლზე ხელი გადაისვა, თითქო ამით მომამბებრებელი ფიქრები მოიშორავო და თავი მაღლა აიღო. მან მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ მისი ამხანაგები მუხის ძირში მთის გამომაცოცხლებელ გრილ ჰაერზე ტკბილათა ხერინავდენ. ფოთლებ შუა ჩამოპარული მთვარის სხივები, მათ წვრილ სვეტებათ დასდგომოდენ, რომლებიც ძირს მწვანე ბალახს და მუხის ჩრდილს ვერცხლის ფრად ქარგავდენ. მთვარე სამხრეთ-დასავლეთისაკენ კარგათ დაწეულიყო.

სანდრო ფრთხილათ, მაგრამ მარდათ ადგა და ნაბადი მხრებზე შეათამაშა. შემდეგ ფეხის აკრეფით მივიდა მუხის ძირას, ფრთხილათვე წამოავლო ხელი თავის ბერდენკას; მან პატრანტაში წელზე შემოიბრტყა, ბერდენკა მხარზე გადიგლო, ირგვლივ ყურადღებით მიათვალაიერ-მოათვალაიერა იქაურობა, ერთხელ კიდევ დაზვერა მძინარე ამხანაგები და ქვევით ხშირ ტყეში, უჩვევ თვალისათვის უჩინარ ვიწრო ბილიკზე, თავ-დაღმა, სულ-განაბული, ფრთხილათ და მარდათ დაექანა.

ს. პართენაშვილი.

(შემდეგი იქნება).



\* \*

(ნაღონიდან)

„რისთვის?“ — მკითხავდა კაეშნიანი უსიტყვო სევდით აღსავსე ხედვა, როცა უეცრად უსირცხვო მსჯავრი მტერთა უნდო გუნდს შენთვის დაედვა. მისთვის, რომ მათის მსგავსი ცხოვრება შენ მოიგლიჯე და გადასტყორცნე, მისთვის რომ ბუსებრ ღამის წყვდიადი არ შეიყვარე, არ გადაჰკოცნე; მისთვის, რომ სულით სპეტაკად ქმნილში ხედვა არ ძალუძთ მსგავსის და სწორის, მისთვის, რომ ტურფა, ხელთ უქმნელი ხარ გვირგვინათ შეკრულ ყვავილთა შორის!...

რ. ლეჩხუმელი.

\* \*

ღილის ნიაგმა დაჰქროლა, არე შეაკრთო ობოლი, აატოკ-ააშრილა სატოკ-საშრილა მიძინებული ფოთოლი. ქიკიკი მორთო ჩიტუნამ, ფრთები გაშალა იამა, ვარდს ელიმება, უხარის — ბულბულის სტვენა იამა. მზე დიდებულათ მოსკურავს გამხიარულდა ქვეყანა; ვით ვერცხლი, ვით მარგალიტი ნამი ციმციმებს ყველგანა. ცა იწმინდება, სპეტაკობს, ღრუბელმაც გადაიარა, ფრთები ესხმება სიამეს გულის მთელდება იარა.

ბ. გელა.



# მ ა ლ რ ო ს მ უ შ ა .

(გაგრძელება)

## გამოსვლა მორბე.

(ამ დროს შემოდის ჰერმანი, გადაავლებს თვალს და შემდეგ გამხნეებით)

ჰერმანი. ძალიან კარგი, მამი, რომ შენ აქა ხარ. დანარჩენებიც მოვლენ ახლავ. ისინი იქით ჰაუსერთან არიან და ძალიან იმედინათ ლაპარაკობენ. იმათ შენი ნახვა უნდოდათ, მაგრამ ვერ გიპოვნეს, ამიტომ მე შენ მაგიერ წაველი, დოქტორი ვალდი სადგურიდან პირდაპირ ჩვენსა აპირებდა მოსვლას, მაგრამ მე ვარჩიე პირდაპირ იქ წამყვანა. იმედი არის, რომ მალე როგორც პატრონები დაგვითმობენ, მხოლოდ ჩვენ ცოტა-და უნდა მოვითმინოთ, უცხო მუშების ხელმძღვანელებიც ამ აზრისანი არიან, თუმცა, მეორე მხრივ დიდი სასოწარკვეთილება ეტყობა..... ეს კი გადაწყვეტილია, რომ დღეს: საღამოს კრება უნდა შესდგეს და იქ, მამი, შენ უნდა ილაპარაკო.

ბურგერი.—(დგება უარყოფით) სხვა არავინ არის იქ, რომ შეეძლოს ლაპარაკი?... განა დოქტორი ვალდი აქ არ არის?..

ჰერმანი. (ვერ უგებს).—მამი, რა მოგივიდა უეცრად? შენ..... (შემოდინან სხვებიც)

ვალდი. (მეგობრულად ართმევს ხელს ბურგერს და გრეტის).— ბურგერ, თუ როგორ იქნება ჩვენი საქმე, დღეს საღამოს გადაწყვეტით გავიგებთ. ჩვენ ყოველივე ღონისძიება უნდა მივიღოთ, რომ გაფიცულების მომეტებულმა ნაწილმა ერთმანეთს არ უღალატონ. შენ ამ საქმეში ძალიან უნდა დაგვეხმარო, ჩემო, ბურგერო, დანამდვილებით დახმარების დაპირება სიჩქარის გამო ვერ მოვიტანე, მაგრამ ვიტყვი, რომ ამ საღამოს ყველაფერი გადაწყდება. ცნობა ტელეგრაფით მოგვივა. მანამდის-კი ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ.

ბურგერი.—ნუ გავიწყდებათ, რომ მომეტებული ნაწილი გაფიცულებისა მუშაობის დაწყების მომ-

ხრება! რომ ისინი სასოწარკვეთილებას მისცენ მიან!

ჰასერი. (ცოტა საყვედურით და გაკვირვებით).— ჩვენ სწორედ ამისთვის მოვედით აქ, ბურგერ! კრება უკვე მოწვეულია. ამის წინააღმდეგ ამ რამდენიმე დღის წინათ შენ არა გქონ და რა. ყველა ღონისძიება მიღებულია. მოდი და ილაპარაკე.

ვალტი.—რასაკვირველია, ის თავისთავად საგულისხმოა....

ბურგერი..... განა უიმედოს შემძლიან ჩემ გვარივე უიმედოთა გამხნეება? მკვდარი მკვდარს აეკიდა —საფლავის კარს მიმიტანეო! დეე თვითონ გადაწყვეტონ თავიანთი საქმე. (დადის აღელვებული)

ბასი. }  
ვალტი } რა დაგემართათ, ბურგერო!

ჰერმანი }  
გრეტე } მამი!!!?

ბასი. (მშვიდათ აათვალიერ ჩაათვალიერებს). —შენ ავანტიურა შეიღებო გყავს, ბურგერო! შენი შეიღებო ავანტი არიან! მეცა მყავს და ჩვენთან ერთად სხვებსაც, მეცა ეს არის მიზეზი, შენი უბედურების მიზეზი ბორგერო?

ბურგერი.ჰე! სწორედ ეგ არის, მე ყველაფერი შემეწირავს: დედა და ყველანი.... და ეხლა ეს ორი, ამათაც იციან, რომ მალე უნდა დაიხოცნენ... მაგრამ მართო ეს მიზეზი, ბასო..... რომ..... მე აღარ შემეძლიან ვილაპარაკო, ის, რაც აღარ მწამს.....

გრეტე. (ხელებს იმტერებს, ჩუმად) მამი!

ჰერმანი. (შეშინებული).—მამი!!! ახ, მამი. (დანარჩენები)—ბურგერ!!!.....

ვალდი. ბურგერ, ყველა ამას შენი აწყო მდგომარეობა, აწყო ოჯახური უბედურება გალაპარაკებს. მაგრამ დაფიქრდი, ჩაუკვირდი ამ გაფიცვას ეს უმნიშვნელო საქმე არ არის. აქ თუ დამარცხდით, გაფიცვა თუ წავაგეთ, მაშინ ჩვენი საქმე უკუღმა წავა, რამდენიმე ათი წელიწადი წელში ველარ გავსწორდებით. ეს შენც კარგათ იცი და ჩვენც.



ჰაუსერი ეს ყველაზე უკეთესად შენ იცი და მერე პირველათ შენ უნდა დაყარო ბრძოლის იარაღი? (აღშფოთებით) როცა შენ ასე ხარ, სხვამ რაღა უნდა ქნას.... აი ამაზე იფიქრე, ამას მიაქციე ყურადღება.... თუმცა, ეს ძნელი სათქმელია ჩემთვის, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რომ მე, როგორც იცი პრაქტიკულად მომუშავე ვარ.... და ჩემთვის ძნელია იქ ლაპარაკი. თუ როდისმე ძაღლები საჭირო ყოფილა, ეს ეხლა გვეჭირება, აქ ბრძოლა სამკვდრო სასიცოცხლოა, გამოცდილი მებრძოლია საჭირო, რომელსაც უხელმძღვანელებდა ის; შენკი, ბურგერო, ხწორედ ისეთი გამოცდილი მებრძოლი ხარ. მხოლოდ შენ შეგიძლიან უწინამძღოლო გაფიცვას.

ბურგერი. (ყურს უგდებს) დიახ, ჰო! საყვარელო, ჰაუსერ... მაგრამ რატომ არა ლაპარაკებთ ვალდს. (მოუბრუნდება ვალდს) შენ ილაპარაკე, ხომ შეგიძლიან....

ვალდი. ამ შემთხვევაში არავის არ შეუძლიან ილაპარაკოს, გარდა შენისა: შენზეა ყველაფერი დამოკიდებული, ყველა შენ შემოგყურებს. თვით შენი მძიმე ტვირთი, რომელიც შენ სასოწარკვეთილებლაში გაგდებს, მეტის-მეტად გამაღლებს იმათ თვალში, ვინც შენსავით ტვირთ მძიმენი არიან. მე არ შემიძლია შენსავით ლაპარაკი.... მე არა ვარ სისხლი სისხლისაგან, მე არა ვარ მადნის მოხრელი, ბურგერო; დაუფიქრდი ყველა ამას.

ვალტერა. (ღრმად შეწუხებული).—ჩვენ არც ერთი არ ვართ ორატორი, ვალდი! არც ერთს ჩვენგანს არ შეუძლიან ბურგერის მაგივრობა. მაშ თუ ეს ასე იქნება, მაშინ ბრძოლა წაგებულია.

მოსუცი შატბი. მაშინ ყველა წაგებულია!! (დაფშვება სკამზედა ტირის) ბურგერი საშინლათ იტანჯება

კრეტე. —(ჩუმათ)—მამა! (ჰერმანი მთელ ამ ლაპარაკის დროს მამას თვალს არ აშორებს, ძალიან ფერწასულია)

ბურგერი. (ძალია დატანებით).—საიდან? საიდან უნდა გამოვიჩინო გაბედულება—სიმამაცე, ის ამაღელვებელი სიტყვები, რომლებსაც თქვენ ამ საღამოს მოელით ჩემგან? (უიმედობის ნიშნათ თავს აქნევს) სულ შფოთვა და გაქირვება! სულ ტანჯვა ვაება. ამდენი ბრძოლა, ამდენი

მსხვერპლი და ბოლოს მაინც არაფერი გამოდის. ამბობება, დამარცხება, იმედი, უნუგეშო, მდგომარეობა, ხან ერთი და ხან მეორე, და ბოლოსკი ბუნდოვანი მომავალი. ასე დარჩება ყველაფერი, მიუხედავად ჩვენი ყოველგვარი ბრძოლისა. ერთი მეორეზე იფუშება, ერთი მეორეზე მარცხდება, საქმე-კი მაინც არ კეთდება. (ის უნუგეშოთ მოძრაოვს. სხვები იმედ გადაწყვეტით შეყურებენ. ჰაუსერი და დღერემილათ შეყურებს ბურგერს, მერე განცვიფრებით ჰერმანს)

ჰერმანი. (ძალიან მკაცრათ)—მამი! შენ, ჩვენ და ამხანაგების წინ ასეთ სილაჩრეს ნუ იჩენ! ეს ისეთი საქმეა, რომელსაც თავგანწირვით და ღრმა რწმენით უნდა შეხვდე? კარგათ ჩაუკვირდი შენს საქციელს, შენ ახრს. თუ რომ ეს მწუხარება, საშინელი მომავალი გადელევებს და ცუდ შთაბეჭდილებას იწვევს შენში, თუ რომ, მამი, შენ და ჩვენ ამ მოვლენაზე ერთ აზრისანი ვართ, მაშინ შენ მოქმედება, საქმის გაკეთება გმართებს! მოქმედება, მამი, მოქმედება! მხოლოდ მაშინ შეიძლება საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება.

ბურგერი. (მიუახლოვდება).—ამას ფიქრობ შენ, ჰერმან?

ჰერმანი. (დაღერემილი).—ამას და სხვა ამისთანა ათასს. მაგრამ ახლა, მამი, ამჟამათ, როგორც ჰაუსერმა წინათვე გაგაფრთხილა. შენ ყველაფერი უნდა შესწირო გაფიცულებს, მათ უნდა ემსახურო, რითაც-კი შეგიძლიან.

მაშინაც-კი, როცა შენ ექვი გაქვს, უნდა ემსახურო მათ, საერთო ბრძოლის ფერხულში უნდა ჩაება, თუნდაც, რომ ეს შენ სიკვდილს მოითხოვდეს გესმის, მამი, შენ უთუოთ უნდა ილაპარაკო! უკანასკნელათ დაანახვე შენ მომაკვდავ შეიღებს შენი თავგანწირულობა მუშებისადმი. მთელი მთა-მალა-როების მცხოვრებში კარგათ გვიცნობენ ჩვენ, აუწყე მათ ჩვენი უკანასკნელი სურვილი; შეგვისრულე, მამი, უკანასკნელი წადილი. მამი, იფიქრე გაფიცულებზე, მათ მომავალზე და არა ჩვენზე. ჩვენ მადნის მუშის შვილები ვართ მამი, მე თვითონ მადნის მოხრელი, ჩვენ და ყველა აქ მყოფნი გთხოვთ შენ, როგორც



ხელმძღვანელს, რომ შენ დღეს შრომა და ღვაწლი არ დაიშურო ხალხისთვის. (ცოტა რბილათ) ახ, მამი, მე ვიცი შენი მწუხარება, ვიცი, რომ იგი გამოუთქმელია, ნუ აყოლიხარ მაგ გრძობას, შენ გული ყველა ჩაგრულისათვის უნდა გტკიოდეს, მათ ბედნიერებისათვის უნდა გიძგერდეს გული; ხალხის ბედნიერება და უბედურება, მამი, შენი საკუთარი ბედნიერება-უბედურება უნდა იყოს, ეს არის, მამი, შენი მომაკვდავ შვილების უკანასკნელი სათხოვარო.

გრეტა. (ჩუმად).—მამი!

ჰერმანი. (მძიმედ). ოჰ, რა დიდ სულოვანი ხარ, მამი! გაქიფრებაში და უბედურებაში რა დიდი სარგებლობა შეგიძლიან მოუტანონ ხალხს.... (ამ დროს ბურგერი ჯერ ისევ გამოურკვეველი და გაბრუებული დგას, სხვები კი მოუსვენრად და დაღონებულნი ერთმანეთს ეჩურჩულებს)

ჰერმანი. (ძალიან მკაცრად).—იმედი ნუ გეკარგება, მამი, ვის შეუძლიან დღეს აწყობა პირობები ყველაფერი სისწორით აწონ-დაწონოს? (ყრუ ხმით) ემჯობინება ტყუილები სთქვა, ვიდრე შენ იყო მატყუებელი (ოფლს იწმენდს) ახ! ნეტავი კი შემეძლოს წამოსვლა!.... მაგრამ ორი სიტყვის შემდეგ ცივ ოფლს დამასხამს. არაფერი არ შემეძლიან. (დაღონებული დაეშვება სკამზე, სხვები გაკვირვებით შეყურებენ მას).

ჰერმანი. (მშვიდად მიმართავს).—მამა ჩემი წამოვა. შეგიძლიანთ დამშვიდებით წახვიდეთ, მამა ჩემი უსათუოთ წამოვა. (ბურგერი თავს უქნევს თანხმობის ნიშნად! ყველანი სწრაფად გადიან)

ბურგერი.— (ჰერმანს).—რა საშინელი ბავშვი ხარ, შვილო! შენ! (ჰერმანი ფეხზე დგება და სიამოვნებით იღიმება) (ბურგერი მოეხვევა და ტირის, მერე მივა გრეტისთან და აკოცებს. სანამ ბურგერი წასასვლელიათ მოემზადება, ჰერმანი გრეტისთან მივა და სასთუმალს გაუსწორებს)

ჰერმანი.—(სიამოვნებით, წყნარად).—ჩვენ შენი იმედი გვაქს, მამი. კითხვა შენ უნდა გადასჭრა, შენს ნათქვამს ყველა ერთხმად დაემორჩილება. (ხელს ართმევს, ბურგერი ხმა ამოუღებლივ გადის) (პაუზა) (ჰერმანი ფანჯარასთან გრეტის ახლოს დგას და ქურდულათ უცქერის, ხანდის-ხან წყნარათ თავს იქნევს.)

გრეტა.—როგორ, შენ ის გაისტუმრე.....

და შენ კი არ წაყვები თან?  
ჰერმანი.—მე შენთან ვრჩები, გრეტო, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ.

გრეტა.—საწყალი, საწყალი მამა! . . . . . (პაუზა) რაც შენ მამა ჩემს უთხარი . . . . . წიგნებში სწერია ეს?

ჰერმანი.—არა, გრეტო, არის ისეთი კითხვები, რომლებზედაც მე უფრო ფართო შეხედულება მაქვს, ვიდრე წიგნებშია ეს.

გრეტა.—(ისევ აღმაცურათ უყურებს)  
ჰერმანი.—ყველა ამის შემდეგ მაინც არ გინდა, რომ იცოცხლო, ჩვენ, ქლეკიანებს შეგვიძლიან ამაზე ლაპარაკი.

ჰერმანი.—(ხვეწის ნიშნით თავს დაუქნევს) დაჩუმდი, ნუ იტყვი ამის შესახებ!! (პაუზა)

გრეტა. . . . . მაშ შენ ილაპარაკე სხვა რამე-  
ჰერმანი.—(ღიმილით).—მაშ? . . . . .

გრეტა.—სიყვარულზე არ გიფიქრია როდისმე, ჰერმან?

ჰერმანი.—ქალების სიყვარულს ამბობ?

გრეტა.—ჰო (თავს უქნევს)

ჰერმანი.—ერთხელ მქონდა შემთხვევა შენ თვითონ იცი.... მაგრამ მერე... მე ის გრძობა ჩავახრჩვე ჩემში ის სწრაფათ ვაქრა (პატარა პაუზა) მე ნება არ მივეცი, რომ ეს გრძობა გაძლიერებულიყო ჩემ გულში. (გრეტა სახეს იკმუხნის)

ჰერმანი.—ჰო, მაშ, გრეტო.... (აჯავრებს მას) ჰო, ჩვენ ორთავ ამაზე შეგიძლია ლაპარაკი, თუმცა კაცმა რომ თქვას არც ამაზე უნდა ვილაპარაკოთ (ამ ლაპარაკში რომ არიან გრეტის ტანჯვა თანდა-თან ემატება, იგი დაღონებული შესცქერის ჰერმანს და ხანდის-ხან დაბნეულათ თავს აქნევს)

გრეტა.—გული რაღაც ნაირათ მიცემს.... რამდენი საათი იქნება, ჰერმან?

ჰერმანი.—(შეშინებული).— გინდა რამე, გრეტო? (გაშტერებული)

გრეტა.—არა სრულებით არაფერი, მხოლოდ მითხარი რამდენი საათია? . . . . .

ჰერმანი.—მეშვიდვ საათია, იქნება მაინც გამაგებინო რათ კითხულობ დროს, გრეტო?

გრეტა.—მამა ჩემი კიდევ დიდ ხანს დარჩება იქ?

ჰერმანი.—არა, გრეტო. თუნდაც რომ ადრე მოვიდეს ჩვენ მაინც ხომ იმას არ მოგუცდით. (ფანჯარაში იყურება. პაუზა)

გრეტა.—მიაშვ რამე, თუ-კი შეგიძლიან, ჰერმან სიჩუმე ვერ ამიტანია.

ჭკმახი. — (ჩაფიქრებული და დაღონებული) — რა უნდა გაიგო გრეტე?

გრეტე. — ლექსებზე ... ის ლექსები იყო, რომელსაც შენ ამ უკანასკნელს დროს საღამო-საღამოთი სწერდი?

ჭკმახი. — არა გრეტე. ეს პიესა იყო და სხვა მაგისტანები, რაც ყველაზე მეტად მინდოდა რომ დამეწერა.

გრეტე. — (თვალებს აქეთ იქით აცეცებს). — მე ეგ არ ვიცოდი. პიესაა? ეჰ! მე რომ ვეღარ მოვესწრები?!

ჭკმახი. — (იცინის). — ვერ მეესწრობი?! გრეტე, ვერც შენ, ვერც მე და ვერც სხვა მაგისტანები დადგამს ვერ მოვესწრობით, ვინაიდან შიგ სასცენო არა არის-რა; შიგ არ არის როლი აქტიორისთვის, შიგ არ არის გამოყვანილი; განსკუთრებული ადამიანი, სიყვარული; შიგ არ არის არც დიდი და არც პატარა. არ არის დამნაშავე, რადგან ესენი ერთად ერთ რასმე გადმოგვცემენ.... დიდი, უსაზღვრო, გამოუთქმელი მწუხარება. (ის უყურებს გრეტის თითქოს ეკითხება რამეს)

გრეტე. (ყურადღებით), — მერე.... მე ვიცი.... მაგრამ მე მინდა გავიგო, რად გინდა რომ ეს ასე იყოს?

ჭკმახი. — ჰო, იცი.... (იღიმება სიბრაღულით) თუ რომელიმე ჩვენგანი პოეტი გახდება, ის მაშინ ეს მისი კანონი უნდა გახდეს, რომ მან სამართლით გადმოგვცეს და თუ რომელიმე ჩვენგანი თავის ცხოვრების სინამდვილეს, სისწორით ასწერს თავის ცხოვრებას სისწორით ასწეროს, ის რასაკვირველია, ყველაზე მეტ სულიერ ტკივილებს, გრძნობს.

გრეტე. (თავს უქნევს). — ტკივილი.... (თავს უქნევს). — ტკივილი.... (ცოცხლად) მითხარი, შენ წიგნებიდამ ბევრი რამ იცი. (აქ გრეტე მეტის მეტად აღეფიქვება და დაუწყნარებლათ ლაპარაკობს) რას ფიქრობს გარეთ ხალხი, რა იცის ხალხმა, — მე მგონია არ იციან ის, რაც ჩვენ ვიცით. იმათ მაგალითათ არ იციან, რომ ჩვენ უნდა დავიხიოცნეთ, არ იციან როგორ ესაზოხათ სიცოცხლე ძალღონით სავსე ჭაბუკებს. იმათ არ იციან, თუ როგორ ებრძვიან ესენი დღე და ღამ შეგნებულათ სიკდილს, მაგრამ ამოათ — ბოლოს იძულებულნი ხდებიან და მორჩილდენ მის აუცილებლობას. იმათ იციან ეს?.... იმათ

იცინ რა საშინელი ტანჯვაა ამათვის, თვეები და წელიწადები ამ საშინელებას უყურებს?!

იცინ მათ როგორ მოკვდა ელია? იმას არ უნდოდა სიკვდილი. არ უნდოდა მოშორებოდა დედას, და პატარა და-ძმებს. ის სიკვდილის უკანასკნელ წუთებში როგორ გაფოთებული წამოვარდა ლოგინიდან, მუშტებ მოკუმული, საოცარ ენერგიით ეძახდა: მე არ მინდა მოკვდე! მე არ უნდა მოკვდე!..... (სიბრაღულით ხმა მალლა ამოიოხრებს) ეჰ, ნეტავი ვიცოდე ვის ემუქრებოდა; (მწარეთ სტირის და დაეშვება ბალიშზე.)

ჭკმახი. (შეშინებული ამშვიდებს). — არა, გრეტე, არა, იმათ არ იციან ყველა ეს და ვერც გაიგებენ. ისინი ჩვეულებრივ ფიქრობენ და სწერენ თავიანთ ცხოვრების გაქვირებაზე, ცხოვრების სიდუხჭირეზე და სხვა ამისთანებზე.

გრეტე. (ზიზღით). — ეს არის და! (მძიმეთ სუნთქავს) შენ იცი ამ ცოტახანში რა უბედურება მოხდა? სამასი კაცი ცოცხლათ დაიმარხა მაღაროში, აქ მალლა, კი ობლად დარჩენილი ცოლ-შვილი ტიროდენ... საშინელება რამ იყო, მთელი წელიწადები მახსოვდა, დიახ, დიახ;

ჭკმახი. (ძალიან მშვიდათ), — შენ მართალი ხარ, მაგრამ ეხლა.... იცი შენ, ჩვენ ორნივე უნდა წყნარათ ვიყვნეთ, წყნარათ, რადგან ჩვენ კარგათ ვიცით, როგორ ელიე და სხვა მრავალნი.... გული დავიმშვიდრთ თავი წყნარათ დავიჭიროთ, მთლად წყნარათ. (თავდავიწყებით, თითქოს ჩურჩულობენ) თორემ ჩვენ კკუიდან შევიშლებით, გრეტე....

გრეტე. (კვნესის. პაუზა)

ჭკმახი. (გამოშტერებული იყურება)

გრეტე. (კვნესის). — მომეცი წყალი.... ვაი, გული.... მომეცი.... (ჭკმახი შეშინებული მიავდის წყალს დასალევათ. გრეტე მისივინებს, კვნესის, ღრმათ სუნთქავს: ჰაერი არ ყოფნის, გული სწრაფად უცემს)

ჭკმახი. — (გრეტის) რა?..... (სცდილობს კარგათ დააწვინოს)

გრეტე. — აჰ! (ეჭიდება მაგრათ ჭკმახს, ეშვება) აჰ! (კვდება)

ჭკმახი. გრეტე!! (ჩუმათ ეკითხება) გრეტე? (უკან გამობრუნდება განცვიფრებლი) ასე ჩქარა?....



(ხელ უსვამს თვალებზე ერთ წამს, მერე შუა ოთახში გაჩერდება) შენ უკვე მოიშორე შენი ვალი! მეც მალე გამოგყვები გრეტიე!  
(დაეშვება სკამზე და თავს ჩაკიდებს)

**თამარ ნაცვლიშვილი**

(დასასრული იქნება).

**ვედრება.**

**I**

ჩემო მშვენიერავ, სულის სწორო, გულის იმედო, დილის ცისკარო, განთიადის წინამორბედო!  
სად მიიმალე, რომელ ნიავს წაყევი თანა, რომ ვერსად გპოვე, თუმც შემოვლე სრულათ ქვეყანა.

ველსა შევჩივლე, მთასა და ბარს, ტყე-ღრეს, მდინარეთ ტურფა ყვაილებს ნახათ გამლილოთ, პირ-მომცინარეთ,

მაგრამ ვერ მითხრეს საითა ხარ გადაკარგული და მისთვის ვსტირი, მისთვისა ვარ თვალ-დანამული. ნუ თუ ვერ ვნახავ, ვერ მოგძებნი ვერას გავხდები და შენის ცქერით ერთხელ მიან ველარ დავსტკებში? ოჰ, თუ ასეა, რისთვის ვიშვი, რისთვის ნეტავი. რატომ მიბრალეხს, რათ არ გამსრეს ცხოვრება მწვაივი??

ლამის გუშავო, შეყვარებულთ მეხვაშიადევი, ლაყვარდის მეფევი, ცის მნათობო, ცის სიდიადევი! შენ გვედრები, შენ გენუკვი, მითხარ სიმართლე, სად არის სადა, ვის შეხარის თვალის სინათლე? ეგების მართლა სხვასა შეტრფის, სხვა შეიყვარა მისი მგოსანი დაივიწყა, არ ახსოვს არა?!. ოჰ მთვარევი, მთვარევი! შენ გენუკვი, მითხარ სიმართლე ჩემ საწილო ცაც გააშუქე ჰვინე სინათლე... მწველი სახმილი დამიყუჩე, უღროთ ნუ მომკლავ ჩემ გულის ლტოლვას, ჩემ გულის თქმას გვედრი, ნუ ჩაკლავ!..

**II**

სდუმს არე-მარე, არვის ესმის ჩემი ჩივილი, მიორკეცდება სულის ტანჯვა, გულის ტკივილი, უტყვსა მიდამოს გადაყურებ სასო-მიხილი და შენატრება საზარელი შავი სიკვდილი.

ოჰ, მეგობრებო, ხმა გამეციო, ხმა ბელიო კრულსა გარს სველით მოცულს, განშორებულს აწ სიხარულსა.

სატრფოს სამყოფი საით არის გამაგებინეთ, მუდამ მწუხარეს შვების ცრემლი დამაფრქვევინეთ!.. ტკბილო ზეფირო, მითხარი რამ სასიხარულო, შენაცა უბრაოთ ნუ ჩამივლი ქვეყნის ერთგულო! გამაგებინე სად ნარნარებს ჩემი ღვთაება ვითა მადონა თვალ-წარმტაცი და ნეტარება?... ლევა ღრუბლებო, თქვენც მოგმართავ მწუხარ-ეული ძალთ-უკმეობით დაბასრული, გულ-ამღვრეული: ცისა ლაყვარდში ხომ არ დაკრთის ნაზი მშვენიერ ეთეროვანი, მომხიბვლელი უცხო ჩვენება? ოჰ, ხმა გამეციო, ხმა მომეციო, მითხარით რამე თორემ სულს ხუთავს ეს წყეული წყვდიადი ღამე, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ვარდი მომამძებნინეთ და ერთხელ მაინც შვების ცრემლი დამადენინეთ.

**ბ. პელაშვილი.**

**ჰენრის იბსენი.**

**I.**

თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ჰენრის იბსენის გონებრივი ნაწარმოები თანამედროვე მსოფლიო ლიტერატურაში ერთ საუკეთესო და სიმბატეურ ნაწერებათ უნდა ჩაითვალოს. როგორც დრამატურგი იგი შეუდარებელი იყო, იბსენის თანამედროვე მწერლებიდან თითქმის არავინ არ ყოფილა მისი თანასწორი. ის ვინც, პლენხანოვის აზრით, იბსენს შექსპირს უბადლებენ, შექსპირს ადარებენ, მეტის-მეტათ აჯარბებენ, იბსენის ნაწერებს ზედ მეტ, გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევენ. იგივე პლენხანოვი ამბობს; თუ გინდათ ჰენრის იბსენი შექსპირის შეუდარებელ ნიჭით ყოფილიყოს დაჯილდოებული, მაინც მისი დრამები, როგორც ხელოვნური ნაწარმოები, ვერ შეედარებოდენ შექსპირისას, ხელოვნების მხრივ მუდამ სუსტი და, შედარებით, განუვითარებელი იქნებოდაო. სწორეთ ამ მხრივ იბსენის ნაწერებში არა ხელოვნური, ანუ სწორეთ, რომ ვთქვათ—არა ხელოვნური ელემენტები აშკარათ გამოსჭვრეტს, ვინც იბსენის დრამებს გულდასმით და რამდენჯერმე წაიკითხავსო, ის ასეთ ელემენტებს უმაღვე შენიშნავს, მაშინვე



შეატყობსო. და აი, სწორეთ ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს მთავარ მიზეზათ, გვეუბნება აგივე პლეხანოვი, რომ იბსენის დრამები ადგილ-ადგილ მეტის მეტათ ინტერესს წარმტაცებელია, ადგილ-ადგილ-კი თითქმის სრულიათ მოსაწყენია. იბსენის გარჩევაში გ. პლეხანოვი სწერს, რომ იბსენის დრამები იმისათვის ღარიბია ხელოვნურ ელემენტებით, რომ იგი მეტის-მეტათ მდიდარია შინაარსითო, მთელი მისი ნაწერები სავსეა იდეებითო. ამისათვის არის, რომ იბსენს, როგორც დრამატიულ პოეტს ცალი არ ყავს თანამედროვე დრამატურგებში. იგი ერთ იმ მწერალთაგანი იყო, რომელიც თავის ნაწერებით ხალხს მორალურ აღზდას აძლევდა, ზნეობრივ ხელმძღვანელობას უწევდა და უწევს კიდევ. მისი ნაწერები ძალიან დაშორებულია იმ მიზანს, რომ მას რაზე სიამოვნება გაეწია უბრალო მოხეტიალესთვის, სიამოვნების მაძიებლისათვის, იბსენს შესწევდა იმოდენა ძალა, იმოდენა ხასიათის სიმაგრე, რომ მას უზენაეს მგოსნის მოვალეობა, უზენაეს პოეტის დროშა მალა აეფრიალებინა და ხალხის პირუთენელი ხელმძღვანელი ყოფილიყო. მისი მიზანი არ იყო, მხოლოდ ცხოვების სურათები მიეცა მკითხველისთვის, ცხოვრების მშვენიერ ფოტოგრაფიულ სურათებით ეძლივნა; ის ცდილობდა მკითხველისთვის ცხოვრების სურათები აეხსნა, ცხოვრების სურათები განემარტებინა, თავის დროს და თავის ალაგებს, ეს სურათები ცხოვრებისთვის სისწორით დაეკავშირებინა, მისთვის ცხოველ მყოფელი ძალა მიენეჭებინა. და სწორეთ ეს მხარე შეადგენდა ჰენრიხ იბსენის სილიადეს, მის სახელს! ამას ეტრფოდა მისი ბუნება და ამის განხორციელებას ემსახურებოდა მისი დიადი ნიჭი, თუმცა მან ეს სავსებით ვერ შესძლო.

მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათიან წლებში ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ იბსენს მეტის-მეტათ პესიმისტური სურათი გადაუშალა, მის გარეშემო ცხოვრებისაგან იმედ გაცრუებულმა ელემენტებმა მოიყარეს თავი. იგი ტრიალებდა საშუალო კლასის და ინტელიგენციის ატმოსფერაში, რომლებიც მას ტროდენ და მოსტკვამდენ ბურჟუაზიული საზოგადოების დაღუპვას, მის წეს-წყობილების დანგრევას. მასთან მიდიოდენ და თავს იყრიდნენ ყველა უკმ ფიქრებით გატაცებულნი, ფანტაზიორები, რომლებსაც ტრადიციულათ გადმოცემული იარაღი დაჰკარგოდა და მის მაგიერ ახალის შეძება ვეღარ მოეხერხებინებინათ. ეს „თანამედროვე“ წრეებში იბსენს ერთგულებას ეფიცე-

ბოდენ, მის ხელოვნურ სურათებში, მის ხელოვნურ ნაწერებში ხედავდენ თავიანთ ფილოსტ მორალურ შეხედულობის დათრგუნვას და ახალის შეძენას. იმ დროს, ე. ი. მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ ათ წლებში, ისეთი სოციალური მოვლენა ყველა გერმანიულ ხალხებში ჩვეულებრივ შემთხვევათ უნდა ჩაითვალოს, თვით ანგლისა და საფრანგეთშიაც კი ამას ვხედავდით, თუმც ჰენრიხ იბსენის ნათელი გენიალური შემოქმედებითი ნიჭი, როგორც შემდეგში გამოიჩვენა, დიდი მოტრფილვე და თავყანის მცემელი არ იყო ჩვენ მიერ დასახელებულ მიმდინარეობისა. ყველა ამ ქვეყნებში იბსენს არ უყურებდენ, როგორც ტურფა, ნარნარ ხელოვანს, ხელოვან დრამატურგს, პირიქით მის ნაწერებს ჩვეულებრივი არა ხელოვნურათ, უკმეხ ტრადიციულათ აღვიარებდენ, უმთავსესათ იბსენის თანამედროვე ახალი გენერაცია (თაობა), რომელიც კი წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის მეოთხმოცე წლებში, მას გზის მაჩვენებელ ვარსკლავათ რიცხავდენ. იბსენის ნაწერები დიდის გატაცებით ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა მოზარდ თაობის ყურნალ-გაზეთებში, ყველგან დიდის სიამოვნებით თამაშობდენ, ადგენდენ სცენაზე. არამც თუ გერმანულ ქვეყნების და ინგლისს—საფრანგეთის ახალი თაობა გატაცებულია იბსენის ნაწერებით, მის დრამატიულ თხზულებით, სლოვიანთა ქვეყნებშიაც კი, განსაკუთრებით რუსეთში ვგრეთ წოდებული პროგრესიული ელემენტები დიდის გატაცებით ეტანებინა მას. ეს მოვლენა კი იმის მლაღადებელია, რომ ჰენრიხ იბსენის ხელოვნებას, ერთა რამ საერთო უძევს საფუძვლათ, რომ ამ სხვა და სხვა მანძილით დაშორებულ ქვეყნების, სხვა და სხვა რასები ერთნაირ სიამოვნებას გრძნობს, ერთნაირთ ეს-მის იგი.

თუმცა კი უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მწერლობაში ძალიან ცოტანი მოიძებნებინა, რომლის ნაწერებსაც ასეთი ნაციონალურ ხასიათისა, ეროვნულ ქრილობისა იყოს, როგორც, მაგ. იბსენის ნაწარმოები. ეს ჩვეულებრივ ასეც უნდა ყოფილიყოს. იბსენის სამშობლო ნორვეგია სულ უკანასკნელ დრომდის ეკუთნოდა ისეთ ქვეყანას, რომლის მცხოვრებნიც, შედარებით სხვებთან, მეტათ კარ ჩაკეტილ ცხოვრებას აწარმოებდენ, საცა თანამედროვე კაპიტალისტურ წარმოების ფორმების განუვითარებელ თავისებური გარდაქმნელი პირობები ვერ გამოეწვია. ამიტომაც იგი დიდ ხნობამდის განსაკუთრებულ ეროვნებათ დარჩა, ნორვეგიის

მთელმა ხელოვნებამ და თითქმის მუსიკამაც კი, ხანგრძლივად შეინარჩუნა თავისი ნაციონალური ელფერი, ნაციონალური მიდრეკილება. რასაკვირველია, სულ სხვა გვარათ, სულ სხვა სახით იფურჩინება და ყვავილდება თანამედროვე ხელოვნური, ანუ სწორეთ რომ ვსთქვათ—სამხატრო ლიტერატურა: მაგ. პოლანდიაში და ბელგიაში. ვინაიდან აქ ნამეტარი ძლიერია მეზობელ სახელმწიფოების ეკონომიური განვითარების და მათი ხელოვნების ფილოსობის და საერთოთ იდეურ განვითარების ზეგავლენა. სულ სხვა გვარია რასაკვირველია, ეს გავლენა რუსეთში, რომლის ლიტერატურა ერთობ საესეა ინტერნაციონალურ და ნაციონალურ განსაკუთრებით, ხასიათით: რუსეთის მხატვრული ნაწარები თუმცა აშკარათ იმჩნევენ დასავლეთ ევროპის სულიერ მოძრაობის ზეგავლენას, მაგრამ მაინც იგი ამავე დროს რუსული მიდრეკილების მატარებელია, რუს ლიტერატორი, ყველა ძრიელ ამ ძრიელ ზეგავლენის შემდეგაც კი ზღებს თავის მხატვრულ ნაწარმოებში ნაციონალურ სულის კვეთებას.

ნორვეგია, თითქმის უკანასკნელ წლებამდისაც კი პირველ ყოფილ გლეხთა დემოკრატიის სანიმუშო ქვეყანათ ითვლებოდა. გონიერი და შეძლებული გლეხობა ფართო ტერიტორიაზე მოდებული იყო, გაბნეულათ ცხოვრობდნენ. წამრომოებ უმთავრესად ნატურალური იყო, მწარმოებელნი თავიანთ ნაწარმოებით უმთავრესად თავიანთ ოჯახის მოთხოვნილებას იკმაყოფილებდნენ. რიცხვით მცირე და ღარიბ-განუვითარებელ ქალაქებში უმთავრესათ ხელოსნური და უბრალო საქონლის წარმოება სქარბობდა; კაპიტალისტური წარმოების წესი ის იყო იბადებოდა, მსხვილი კაპიტალისტურ წარმოება თითქმის სრულიათ არ არსებობდა, კლასთა წინააღმდეგობა ნამეტანი სუსტი დაქმორალი იყო.

რასაკურველია, ასეთ სოციალურ პირობებში მცხოვრებ ხალხის ზნე-ჩვეულების მიხვედრა ძნელი არ იყო. ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვეულებრივ წარმოშობავს ხოლმე ძრიელ ხასიათის სუბიექტებს, მაგრამ ამასთანავე შეზღუდულს; ინდივიდუალობა აქ მეტათ ვითარდება, ეგოიზმი, თავის მოყვარეობა: თითვეული თავისუფალია თავის ოჯახში, თავის სამშობლოში; ადამიანები აქ დამოუკიდებლობები მაგრამ მისი შემეცნების პორიზონტი შეზღუდულია და მისი სოლიდარობის გრძობა განუვითარებელი. აი ასეთ სოციალურ პირობებში

გაიფურჩქნა იბსენის მხატვრული ნიჭი, პრიმიტიული ინდივიდუალობი, რომელზედაც შემდეგ წერილში გვექნება ლაპარაკი.

შვარცი.



\* \* \*

მშვიდი, საღამო  
ტურფა, საამო!  
შორს, ქალაქ გაღმა ამოდის მთვარე.  
მყუდროებაა... ცა იცრემლება  
ნეტარებითა თრთის არემარე!



ფანჯრის ბაქანზე დაყუდრებული  
ვუმხერ ბუნებას...სულთქმას ვიკავებ  
და ჩუმათ, ჩუმათ სულ განაბული  
ვითელი ციმციმა, ცაზე ვარსკვლავებს!..



—ბედნიერებავ, რა იქნებოდა  
სიზმრათა მაინც გადმოგველინა  
და ნორჩ ობოლსა, ოქროთ ნაკერი  
შენი კალთები გადაგეფინა—  
სულ განაბული შეენატრი მთვარეს  
და ძლივს ვიკავებ ცრემლებს მღუ-  
ღარეს!..

დემონი.



# რუსულ ახალ მწერლობის ისტორია

(გაგრძელება იხ. „სხივი“ № 7).

ჯერ სანამ კანტის ფილოსოფიური ნაწარმოები გამოსული არ იყო, რომ ფილოსოფიურმა აზრმა სასტიკი ომი გამოუტყადა ფანტასტებს, რომლებმაც აუარებელ ძალებით აესეს ქვეყანა. ბეკონიდან ემპირიული მეთოდი თან და თან ფეხს იკიდებს. ბეკონი თავის ორგანოში “ნოვეუმ ორგანონ” ამბობს, რომ რაიმე საგნის ან აზრის გაგება შემდეგ ნაირათ შეიძლება: ჩვენ ვკრეფთ ფაქტებს,

თვალყურს ვადევნებთ მათ, ვსწავლობთ, ყოველივე მათ თვისებებს, ვცდით და ბოლოს მივალთ საზოგადო დასკვნამდე, ე. ი ერთ მტკიცე შეხედულებას ვადგენთ რაიმე საგანზე ან აზრზე. ამ გვარათ ბეკონმა თავის ინდუქტიურ მეთოდით პირველათ თავში ჩაჰკრა მეტაფიზიკურ ფილოსოფიას, რომელიც მუდამ იმას დალადებდა, რომ ყოველივე მოვლენის, თუ საგნის შესწავლათ საჭიროა ცოდნა თვით ბუნებიდან აქვს ადამიანს. კიდევ უფრო სასტიკი წინამძღვრები იყო მეტაფიზიკურ მეცნიერების მეორე ფილოსოფოსი ჯონ ლოკი (1632—1704) ლოკის მოძღვრებით ის იღებდა, რომლებსაც ფილოსოფია ბუნებრივად თანდაყოლილათ სთვლიდა მხოლოდ გამოცდილების ნაყოფია. არ შეიძლება გონებაში დაიბადოს ისეთი აზრი, ან შეხედულება რაიმე საგანზე, რომელიც წინათ მისი გრძნობების საშუალებით არ მიეღოს მას. ჩვენი სული, თეთრი, დაუწერავი ქაღალდი, წმინდა დაფა (tabula rasa), რომელზედაც შეიძლება ყველაფრის დაწერა. ბუნებრივად თანდაყოლილი იღვია არ არის, ამის დამატაცივებლათ საბუთი ის არის, რომ არ არსებობს ერთი ისეთი იღვია, რომელსაც ყველა აღვიძებდეს, ბავშვები და ველურები პირველათ ეცნობიან კერძო საგნებს და შემდეგ ადგენენ საზოგადო შეხედულებას. ლოკის მთავარი მიზანია, გაგვაცნოს, როგორ ჩნდება ესა თუ ის იღვია ჩვენს გონებაში. ამ პროცესს ასე გვიხატავს ლოკი; არსებობს ორ გვარი ცდა—პირველათ, გარეგანი ცდა, ანუ შეხება. გარეშე საგნები თუ მოვლენები გავლენას ახდენენ ჩვენ გარეგან გრძნობაზე და აქედან ჩვენ გარეგანი ცდით ვადგენთ შეხების იღვიას. მეორე შინაგანი ცდა, ანუ რეფლექსია—ეს ჩვენი სულის შინაგანი მოქმედებაა მიღებულ შთაბეჭდილებებზე, რომლითაც ჩვენ ვადგენთ უფრო რთულ იღვიას. თავის თავად ცხადია, რომ შეხების იღვიას უფრო ადრე ვითვისებთ, ვიდრე რეფლექსიისას. ლოკის ამ მოძღვრებას მნიშვნელოვანი შედეგები მოყვა. მან პირველათ განსაზღვრული სახე მისცა ობიექტიურ შემეცნების პრინციპს.

ლოკის გვერდით უნდა დავაყენოთ მეორე მისი თანამოაზრე ინგლისელი მეცნიერი დავით იუმი (1711—177) მისი კრიტიკულ სკეპტიციზმით. იუმს ყველა ჩვენი იღვები გრძნობათა შთაბეჭდილებებიდან გამოყავს. ერთი სიტყვით, ისიც იმ თვალთახედვის წერტილზე დგას, რომელზედაც ლოკი: რისამე გაგება და შესწავლა შეიძლება მხოლოდ ცდით, ხოლო თან დაყოლილი იღვები არ არსებ-

ობენ. ასეთ თვალთახედვის წერტილზე დგას ლოკი მიზნების გაგებაშიც, ვლებულობთ რა რაიმე შთაბეჭდილებას, ჩვენ ერთათ ვაგროვებთ ფაქტებს, რომ ორი მოვლენიდან პირველი გზებია და მეორე შედეგი. ამ გვარათ იუმში თავის სკეპტიციზმით ისეთივე მტერი იყო მეტაფიზიკის, როგორც ლოკი. მაგრამ აღვიარეს რა ცდა ჩვენი შეგნების მთავარ წყაროთ, მათ ნაკლები ყურადღება მიაქციეს თვით ამ შეგნების ნიქს,

ეს ნაკლი შეავსო კანტის ფილოსოფიამ. დოგმატიური მეტაფიზიკა არავითარ ადგილს არ აძლევდა ცდის, სკეპტიკურ მიმართულებას კი ყველაფერი ცდა ქონდა დამყარებული და იქიდან გამოყავდა. კანტი არც ერთს მიეკედლა და არც მეორეს; ის ცდილობს გამოიკვლიოს აზროვნობის და ცდის როლი რეალურ ცოდნის შექმნით; საშუალო გზა, რაციონალისტთა და ემპირიკების შორის, რომელიც კანტმა აღმოაჩინა შედეგი იყო: ისეთანხმებოდა იუმს იმაში, რომ ჩვენი შეგნების გაგოყენება მხოლოდ ცდის დროს. მაგრამ მეორე მხრით ის აღვიარებდა, რომ ჩვენ გონებას რაღაც ისეთი თვისება აქვს, რომელიც ცდას წინ უსწრობს, ეს “რალაც” არის ჩვენი შეგნების აპრიორული ფუნქციები, განსაკუთრებული ნიქი ჩვენი ორგანიზაციის ყველა ის, რაც ჩვენს გრძნობა გონებაზე მოქმედობს განსაზღვრულ ფორმაში შევიგნოთ. მაგალითათ, რომ შესაძლებელი იქნეს რაიმე ცდა, ამისთვის საჭიროა წინ და წინ გვქონდეს იმის ნიქი, რომ შესმენილა ქვემდებარეს შევეუერთოთ, მიზეზი შედეგს. ამ გვარათ კითხვა ასე წყდებოდა: შეგნების ფორმა ჩვენი ორგანიზაციის აპრიორულ ნიქს.

მაგრამ ამ ფორმების კომპეტენცია მხოლოდ იმ საგნებზე ვრცელდება, რომლებსაც ჩვენ ვსწავლობთ ცდის გზით ე. ი. ემპირიკების მოძღვრებით ასე გამოდიოდა, რომ ჩვენ არაფრის შესწავლა არ შეგვიძლია, რაც ჩვენი ცდის გარეშე სდგას. მაგრამ აქ არსებითი შესწორება შექონდათ: მარტო ერთ ცდას არ შეუძლია ახსნას შეგნების მთელი პროცესი. კრიტიკული ფილოსოფია ამტკიცებდა, რომ ცდას წინ უსწრობს ლოგიკური შეგნება, რომლიდანაც ჩვენ ვიწრო ერთგვარ შეხედულებას ვადგენთ რაიმე საგანზე და ურომლისოთაც ჩვენ არავითარი აზროვნება არ შეგვიძლია. მაგრამ მეორე მხრით ამ შეგნებას ისე არ შეუძლია წარმოიშვას, თუ წინდაწინ არ გავსინჯეთ, არ ვსცადეთ რაიმე

მოვლენა, ან საგანი. ის მხოლოდ იმ მასალებიდან იღებს სიცოცხლეს, რომლებსაც ცდა იძლევა.

კანტი ამ გვარათ ხსნის ამ აპრიორულ შეგნებას: როდესაც რომელიმე საგანი, ან მოვლენა აღვიძებს რომელიმე ჩვენს გრძნობას, ამ აქტში ყოველივე შემთხვევითი ცდის ნაყოფია, სულ—რასაც საზოგადო ხასიათი აქვს, ჩვენი შეგნების ნაყოფია. კანტის აზრით გრძნობების ასეთი განსახილველი ფორმა არის სივრცე და დრო. როცა ჩვენ ვფიქრობთ ჩვენ მიერ ნახულ ვარდზე, რომ ის უკვე აღარ არის, ჩვენ გვჩვენება ერთი წარმოდგენა ყვავილის ნაწილების სივრცით და მოკიდებულებაზე ერთმანეთ შორის და სხვა საგნებთან, მეორე მხრით დროზე. ჩვენ წარმოვიდგენო დრო ვარდის დანახვის წინათ და შემდეგ. ჩვენ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ არ არსებობს სივრცე და დრო. მაშასადამე დრო და სივრცე საჭიროა, ისინი ეკუთვნის არა გარეგან ქვეყანას, არამედ თვით ჩვენში არიან ჩანერგული. მაგრამ ისინი უსიცოცხლონი არიან, სანამ ცდა არ მისცემია მათ მასალას, არ ჩაბერავს სიცოცხლის სულს, ასეთი შემეცნების პირველი საფეხური, სახელდობრ გრძნობითი შემეცნება. მასში აპრიორული ელემენტებია დრო და სივრცე, ხოლო შინაარსი, ჩვენი ორგანოების შთაბეჭდილებანი.

— ი .

(შემდეგი იქნება)

რედაქტორ-გამომცემელი ე. ტურაბელიძე.



# განცხადებანი

ყოველ-კვირული საპოლიტიკო და სალიტერატურა-გაზეთი

## „შ მ ნ ი“

გამოდის იმვე პროგრამით, როგორც 1909 წელს გამოდიოდა.

გაზეთის ფასი: წლიურათ

ქალაქში დატარებით 3 მ.—;	ვინც რედაქციაში მოიკითხავს გაზ. დაეთმობა 2 მ. 50 კ.
ქალაქ გარეთ . . . . . 3 მ. — კ.	ნახევარი წლით, . . . . . 2 მ. — კ.
სამი თვით. . . . . 1 მ. — კ.	

რედაქციის ადრესი: Кутаись, Балахванская ул. домъ № 37- Редакция „ПОНИ“.

ყოველ კვირული საპოლიტიკო და სალიტერატურა-ქართული გაზეთი

# მ ა რ ც ვ ა ლ ი

გაზეთის ფასი:

ერთი წლით . . . . . 3 მან.—20 კაპ.
ნახევარი წლით . . . . . 1 მან.—70 კაპ.
სამი თვით . . . . . „ „ —90 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან „ „ — 5 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ბაქოში ჯაყელის კანტორაში ლ. ახოზაძესთან, ბაქანაში ბ. კანდელაკთან (სადგურის უფროსის თანაშემწესთან), ნავთის-მწარმოებელთა ბ ა ლ ა ხ ა ნ ი ს საავთმყოფოში ბ. აღლაძესთან, ჯაყელის და ამხანაგობის პრომისლოზე დ. შველიძესთან, ბ ა ი ლ ო ნ შ ი ბ. კოჩინევთან, ქართულ ს კ ო ლ ა შ ი მასწავლებელ რამიშვილთან, რ ე დ ა ქ ც ი ი ე კ ა ნ ტ ო რ ა შ ი; ბ ა ქ ო ს სადგურზე ვ-გაბუნისთან, სადგურ ა დ ჯ ი კ ა ბ უ ლ შ ი ა ლ. ვაჩნაძესთან, ქუთაისში ისიდორე კვიციანიძესთან, ო ზ უ რ გ ე თ შ ი კ ო ლ ი ა შ ა ვ ა რ დ ნ ა ძ ე ს თ ა ნ, თ ბ ი ლ ი ს შ ი „სორაპ-ნი“ მიხა გაჩეილიაძესთან, ს ო ხ უ მ შ ი რ ა ჟ დ ე ნ შ ა ნ გ ე ლ ა ი ა ს თ ა ნ.

რედაქციის ადრესი: კოლიუბიაკინის ქუჩა, ერივანცოვის სტამბა. რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება 1—2 საათამდე.

რედაქტორი ალ. ნადირაძე.  
გამომცემელი პლ. გელოვანი.

წელიწადი 1910 წლისათვის მეორე.

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეული იუმორისტული  
ჟურნალზე

# მათრასი

და სალამური

პირველ იანვრიდან შუკნალი გამოვა გადი-  
დებულ ზომის და ფერადის კრასკებით დაიბე-  
ჭდება.

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და  
მთელი წლის ფასს შემოიტანს, აგვისტოს  
ზღვრულ რიცხვებში ჟურნალთან ერთად

## პრემიით გაეზავნება

# ახალი კრებული

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მო-  
თხრობები, იუმორისტული ნაწარმოებები და სხვა. რედაქცია  
არგინდური ისე ნათარქმნი.

**წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი  
ფორმატის და ელირება 1 მ.**

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწე-  
რლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის სრულად უნდა აუც  
იღებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე. ვინც ამ  
დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს.  
ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2  
2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა  
იმავე ფორმატით და იმავე შინაარსით, რედაქცია  
ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას  
მიიღებენ: აზიანი, ბლაკავსკი, განჯის-კარელი, კუკავი.  
გოდემარი, ზომბეტელი, თურდასპირელი, ასაშანი,  
აკნტი, ლეხნუშელი, მადაქაშვილი, პიტნი, ტ. რამიშვი  
დი, რუსაძე, რუსაველი, ტუქსიშვილი, ფონ-ტეფო, ქუჩ-  
იშვილი, შხანკალა და სხვანი.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ.  
ცალკე ნომერი 10 კ.

ფრლის გამოსავლენი, ადრესი: Тифлисъ  
Типографія „Шрома“ Василю Карамано-  
вичу Болквалдзе.

1910 წლის 2 იანვრიდან გამოდის

ყოველ კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო  
სურათებიანი ჟურნალი

# თეატრი და სსოპრები

იუმორისტულ განყოფილებით და კარიკატურ-  
რებით.

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-მანხილ-  
ვა. თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია. დაიბეჭდება  
თეატრის შესახებ წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრო-  
ბები და სს. ყველა აწ-ში დაიბეჭდება სარეპერტუარო  
პიესა.

ჟურნალში მონაწილესას შიიღებენ:

- ვ. აბაშიძე, მ. აღმაშვილი, ს. გლახაშვილი, ი. გო-  
მარტელი, პ. გოთუა, ი. ბრიშაშვილი, ვ. გუნია, პ.  
დავითაძე, შ. დადიანი, ვ. დარჩია, დუტუ მეგრელი, ვაჟა-ფშა-  
ველა, ვ. აბაშიძე, მ. თოიძე (მხატვარი), ვ. თუმანიშვილი, კ.  
ესხი, ლ. მეტრეველი, ი. მეტელიშვილი, ნ. ნაკაშიძე, ნარკანი-  
დ. ნახუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ.  
ურუშიძე, კ. ყიფიანი, მ. ყიფშიძე, ს. გალობლიშვილი,  
ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, ო. შმერლინგი, (ნხა-  
ტრვა) ცნობილი მწერლები და მხატვრები. ხ. ნაკაშიძე  
გ. ყიფშიძე, კლიშეები მზადდება ქართულთა აშხ.

## ცინკოგრაფიაში.

გაუზავნით დამატებებით ერთი წლით 5 მან. ნახევარ-  
რი წლით 3 მან. თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა  
შეიძლება ნაწილ-ნაწილად: ხელის მოწერის დროს 2 მ.,  
დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ტფი-  
ლისში დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან;  
ფოსტის ადრესი: Тифлисъ. контора груз. драм. О-на,  
Иос. Имедашвили.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი.



# \*\*\* ს ს ი ვ ი \*\*\*

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## ფ რ მ ე ბ ა

გამოდის ყოველ დღე, — კვირაობით სურათებიანი დამატებით. გაზეთის ფასი დამატებინა: წლით 8 მ. 50 კ., ნახევარი წლით 4 მ. 80 კ. ერთი თვით და 50 კ. ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ редакция „Дრობა“, И. С. Агладзе.

ჟურნალში დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, როგორც ორიგინალური ისე ნათარგმნი, კრიტიკული წერილები, ბიბლიოგრაფიები, ბიოგრაფიები და სხვა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ნ. აზიანი, ახალსიბრძელი, ბ. კელა, კ. გოგთაძე, ივ. გამარტაყაი, ნ. ზამღვთაძე, მ. თსამანი, ზ. ირეთელი, ა. ლაღიანი, დეკ, რ. ლეხნუშვილი, ვ. მალქაშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ა. რაქვენძე, ტ. რამიშვილი, ვ. რუხაძე, ფ. რუხაყვია, ვ. ტუქსიშვილი, შუარცა და სხვანი.

ჟურნალი ღირს:

ერთი წლით	—	—	5 მან.
ნახევარი წლით	—	—	2 მ. 50 კ.
ერთი თვით	—	—	50 კაპ.
თითო ნომერი	—	—	10 კაპ.

### წლიურ ხელის მომწერთ

პირველ პრემიათ მიცემათ სტამბონიას მოთხრობა „სახლი ვოლვის ნაპირზე“.

მეორე პრემიათ—ირანთელის ოთხ-მოქმედებიანი ახალი პიესა „სიცილი“.

პირველი წიგნი დაურბდებათ თებერვლის დამღვეს. მეორე აგვისტოს პირველ რიცხვებში. აგრეთვე დეკემბრის ნომრებში უფასოთ გაეგზავნება. ვინც თებერვლის დამღვეამდე მთელი წლის ფულს შემოიტანს ორივე წიგნს მიიღებს.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება თფილისში: გაზ. „ახალი სხივი“-ს რედაქციაში: პ. კალანდაძესთან წიგნის მალაზია „ალიონში“ ვ. გადილიასთან, კირაჩნი ქუჩა № 9; „პეჩატნოე დელო“-ში, ველიამინოვის ქუჩა № 6 ბ. კილაძესთან.

### ქ ა ლ ა ქ ვ ა რ ე თ

ქუთაისში: წიგნის მალ. „იმერეთში;“ სამტრედიისში რკ. გზის შკ. ყ. კოპალეიშვილთან; ბათუმში—რკ. გზის შკაფში გ. მახარაძესთან; კიათურაში—მასწ. ვ. ხურაძესთან; ჩოხატაურში—წიგ. მალ. ს. თავართქილაძესთან; ოზურგეთში—წიგ. მალ. მ. თალოკვაძესთან; ს. აჯიკაბულში—ვ. ყიფიანთან. და რკინის გზის ყველა სადგურებზე, სადაც წიგნის შკაფებია.

წერილები და ფული დროებით ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Типографія „Печатное дѣло“ Вельяминовская ул. № 6. Полиевкту Антоновичу Каландадзе.

გამოდის 1910 წ. საშეგზავნლო სურათებიანი პირველი

## „ნაკადული“

წელიწადი შეეჭესე,

ხელის მოწერა მიიღება თფილისში: „ნაკადულის“ რედაქციაში (გალოვინის პროსპექტი, 8) და წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მალაზიაში (თავად-ახნაურობის ქარვასლა).

1910 წლის 1-ლ იანვრიდან 1911 წლის 1-ლ ნახევარამდე მიეცემა ხელის მომწერლებს: 24 წიგნი მცირეწლოვანთათვის, 12 წიგნი მოზრდილთათვის. გარდა ამისა მიეცემა პრემიათ საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო პოპულიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის):

- 1) დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი—ზღაპარი ევალდისა,
- 2) შარჯნები—ზღაპარი ევალდისა,
- 3) თორმეტი და—ზღაპარი ევალდისა,
- 4) ქართული მხატვრული ასოები კუბიკებზე.

### ფასი ჟურნალისა:

წლიურათ—ხუთი მანეთი, ნახევარ წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი.

### საზღვარ-გარეთ..

წლიურათ—შვიდი მანეთი, ნახევარი წლით—ოთხი მანეთი.

მცირე-წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი.

რედაქტორი: მარია ივანეს ასული ლეშურასი.

გამომცემელი: თ. ზაფხუ იოსების ძე თუმანიშვილი.